



საქართველო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
 საკრებულო



N 46
 07/06/2017

46-07-4-201706071658



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 განკარგულება №46
 2017 წლის 7 ივნისი
 ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღებაზე და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-100 მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ევროკავშირის პროექტის - „მონაწილეობითი CHARRETTE გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისთვის“ ფარგლებში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ 14 748 (თოთხმეტი ათას შვიდას ორმოცდარვა) ევროს ოდენობის გრანტის მიღებაზე ნებართვის მისაღებად შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს მთავრობას, აგრეთვე განახორციელოს გრანტის მისაღებად საჭირო შესაბამისი პროცედურები.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო